პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 13 (246) 11 მაისი 1964 წელი

## შ ი ნ ა ა რ ს ი

### ნაწილი I

#### განყოფილება პირველი


221. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის თაობაზე დადებული საბჭოთა კავშირ-ალჟირის შეთანხმების რატიფიკაციის შესახებ.


#### განყოფილება მეორე


222. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს კ. კ. ხრენოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

223. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მწერალ მ. ბ. კოლოსოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

224. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ლ. ს. შაუმიანის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

225. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის სახალხო არტისტ ბ. ნ. ლივანოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

226. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ქ. მოსკოვის საბინაო და სამოქალაქო მშენებლობის მთავარი სამმართველოს — მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომთან არსებული „გლავმოსსტროის" ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

227. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ე. ბოიკოს ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

228. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა კინოსტუდია „ლენფილმის" რეჟისორ გ. მ. კოზინცევისათვის სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

229. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მოქანდაკე ა. პ. ოლეინიკის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

230. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის სახალხო არტისტის ვ. ვ. მერკურიევის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

231. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის სახალხო არტისტის ვ. ი. ჩესტნოკოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

232. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხანაგ აჰმედ ბენ ბელასათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.
233. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ ნ. ნ. ელანსკისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.

### განყოფილება მესამე

საინფორმაციო ცნობა დიპლომატიური ურთიერთობის თაობაზე დადებული ვენის კონვენციის შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეს ნ. ხ. არუთინიანს რწმუნების სიგელები გადასცა შვეიცარიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ა. რ. განცმა.

ცნობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის არჩევნების შესახებ.

## ნაწილი II

### განყოფილება პირველი

234. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 54 მუხლის დამატების შესახებ.

### განყოფილება მეორე

235. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
236. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ლ. ა. ჭელიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
237. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. შ. დ. ვაშაკიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
238. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

### განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბინაო მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის მუდმივ კომისიაში.

საინფორმაციო ცნობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნაწილი I

### განყოფილება პირველი

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**221 ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის თაობაზე დადებული საბჭოთა კავშირ-ალჟირის შეთანხმების რატიფიკაციის შესახებ**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული და სარატიფიკაციოდ წარმოდგენილი შეთანხმება ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ალჟირის დემოკრატიულ სახალხო რესპუბლიკას შორის, ხელმოწერილი მოსკოვში 1963 წლის 27 დეკემბერს, **რატიფიცირებულ იქნეს.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**
**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 28 აპრილი.
№ 2456-VI.

### განყოფილება მეორე

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**222 უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს კ. კ. ხრენოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ**

ელექტროშედუღების განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე **ხრენოვი დაჯილდოვდეს შრომის წითელი დროშის** ორდენით.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**
**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 23 აპრილი.
№ 2436-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**223** მწერალ მ. ბ. კოლოსოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით მწერალი მარკ ბორისის ძე **კოლოსოვი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 23 აპრილი.

№ 2437-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**224** ამხ. ლ. ს. შაუმიანის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სარედაქციო-საგამომცემლო მოღვაწეობაში დიდი დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით გამომცემლობა „სოვეტსკაია ენციკლოპედიის" სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ლევ სტეფანეს ძე **შაუმიანი** დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 25 აპრილი.

№ 2448-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**225** სსრ კავშირის სახალხო არტისტ ბ. ნ. ლივანოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის სახალხო არტისტი ბორის ნიკოლოზის ძე **ლივანოვი** დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 25 აპრილი.

№ 2449-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 226 ქ. მოსკოვის საბინაო და სამოქალაქო მშენებლობის მთავარი სამმართველოს — მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომთან არსებული „გლავმოსსტროის“ ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბინაო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის, სამშენებლო წარმოების დარგში მოპოვებული მიღწევებისათვის და დაარსების ათ წელთან დაკავშირებით ქ. მოსკოვის საბინაო და სამოქალაქო მშენებლობის მთავარი სამმართველო — მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომთან არსებული „გლავმოსსტროი“ დაჯილდოვდეს ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 25 აპრილი.

№ 2450-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 227 ამხ. ვ. ე. ბოიკოს ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

მეტალურგიული მრეწველობის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული შავი და ფერადი მეტალურგიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე — სსრ კავშირის მინისტრი ამხ. ვსევოლოდ ექვთიმეს ძე **ბოიკო** დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 27 აპრილი.

№ 2451-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 228 კინოსტუდია „ლენფილმის“ რეჟისორ გ. მ. კოზინცევისათვის სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საბჭოთა კინოხელოვნების განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის კინოსტუდია „ლენფილმის“ რეჟისორს გრიგოლ მიხეილის ძე **კოზინცევს** მიენიჭოს **სსრ კავშირის სახალხო არტისტის** საპატიო წოდება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 27 აპრილი.

№ 2452-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 229 მოქანდაკე ა. პ. ოლეინიკის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახვითი ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით მოქანდაკე ალექსი პროკოფის ძე ოლეინიკი დაჯილდოვდეს შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 28 აპრილი.

№ 2457-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 230 სსრ კავშირის სახალხო არტისტის ვ. ვ. მერკურიევის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვასილ ვასილის ძე მერკურიევი დაჯილდოვდეს შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 29 აპრილი.

№ 2459-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 231 სსრ კავშირის სახალხო არტისტის ვ. ი. ჩესტნოკოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვლადიმერ ივანეს ძე ჩესტნოკოვი დაჯილდოვდეს შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 29 აპრილი.

№ 2460-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 232 ამხანაგ აჰმედ ბენ ბელასათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

ამხანაგ აჰმედ ბენ ბელას თვალსაჩინო დამსახურების გამო გმირი ალჟირელი ხალხის თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ორგანიზაციაში, რომელმაც თავისი ღირსეული წვლილი შეიტანა კოლონიალიზმის წინააღმდეგ მსოფლიოს ხალხთა ბრძოლის დიად საქმეში, აგრეთვე საბჭოთა კავშირ-ალჟირის ძმური მეგობრობის დამყარებასა და განვითარებაში მისი დიდი როლის აღსანიშნავად ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტს, პარტიის — ალჟირის ეროვნული განთავისუფლების ფრონტის გენერალურ მდივანს ამხანაგ აჰმედ ბენ **ბელას** მიენიჭოს **საბჭოთა კავშირის გმირის** წოდება და გადაეცეს **ლენინის** ორდენი და მედალი **„ოქროს ვარსკვლავი“.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**
**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 30 აპრილი.
№ 2470-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 233 პროფესორ ნ. ნ. ელანსკისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

ჯანმრთელობის დაცვის დარგში და სამხედრო-საველე ქირურგიის განვითარებაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდაათი წელთან დაკავშირებით პროფესორ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე **ელანსკის** მიენიჭოს **სოციალისტური შრომის გმირის** წოდება და გადაეცეს **ლენინის** ორდენი და ოქროს მედალი **„ნამგალი და ურო“.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**
**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 30 აპრილი.
№ 2471-VI.

### განყოფილება მესამე

## საინფორმაციო ცნობა

## დიპლომატიური ურთიერთობის თაობაზე დადებული ვენის კონვენციის შესახებ

იღებენ რა მხედველობაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებსა და პრინციპებს სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის, საერთა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შორისო მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნებისა და სახელმწიფოთა შორის მეგობრულ ურთიერთობათა განვითარების შესახებ, დარწმუნებულნი, რომ საერთაშორისო კონვენციის დადება დიპლომატიური ურთიერთობის, პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შესახებ ხელს შეუწყობს მეგობრული ურთიერთობის განვითარებას სახელმწიფოთა შორის მიუხედავად მათი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობისა, სახელმწიფოებმა, რომლებიც წარმოადგენენ ამ კონვენციის დამდებ მხარეებს 1961 წლის 18 აპრილს დადეს ვენის კონვენცია დიპლომატიურ ურთიერთობათა შესახებ.

კონვენცია რატიფიცირებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1964 წლის 11 თებერვალს შენიშვნით, რომელიც შეეხება კონვენციის 11 მუხლის 1 პუნქტს, და განცხადებით კონვენციის 48 და 50 მუხლების შესახებ.

სსრ კავშირის სარატიფიკაციო სიგელი შესანახად გადაეცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს 1964 წლის 25 მარტს.

კონვენციის ტექსტი გამოქვეყნებულია „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში“ (№ 18, 1964 წლის 29 აპრილი).

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეს ნ. ხ. არუთინიანს რწმუნების სიგელები გადასცა შვეიცარიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ა. რ. განცმა

30 აპრილს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ნ. ხ. არუთინიანმა კრემლში მიიღო შვეიცარიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ანტონ როი განცი, რომელმაც გადასცა თავისი რწმუნების სიგელები.

ელჩს თან ახლდნენ საელჩოს მრჩეველი მ. გროსენბახერი, სამხედრო და სამხედრო-საჰაერო ატაშე პოლკოვნიკი ლ. რესპინი და მესამე მდივანი კ. ფრიჩი.

რწმუნების სიგელების გადაცემას ესწრებოდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ა. ზორინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საერთაშორისო კავშირურთიერთობათა განყოფილების გამგე ვ. გ. ვისოტინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილებათა გამგეები ვ. თ. გრუბიაკოვი და თ. თ. მოლოჩკოვი.

რწმუნების სიგელების გადაცემისა და მას შემდეგ, რაც სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს, ნ. ხ. არუთინიანსა და ა. რ. განცს შორის გაიმართა მეგობრული საუბარი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მ. პ. გიორგაძემ და ვ. ა. ზორინმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ცნობა

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის არჩევნების შესახებ

1964 წლის 19 აპრილს გაიმართა კავშირის საბჭოს დეპუტატის არჩევნები ზღვისპირეთის მხარის ზღვისპირეთის № 93 საარჩევნო ოლქში.

კავშირის საბჭოს დეპუტატად ზღვისპირეთის № 93 საარჩევნო ოლქისაგან არჩეულია ამხ. მიხეილ ნიკოლოზის ძე **ზახაროვი,** დაბადებული 1912 წელს, სკკპ წევრი, ვიცე-ადმირალი.

## ნაწილი II

### განყოფილება პირველი

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 234 საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 54 მუხლის დამატების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაემატოს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 54 მუხლს მეხუთე ნაწილი შემდეგი შინაარსისა:

„მსჯავრდებულის ვადამდე პირობით გათავისუფლების დროს სასამართლოს შეუძლია დაავალდებულოს მშრომელთა გარკვეული კოლექტივი ან პირი, თუ მათი თანხმობა იქნა, სასჯელის მოუხდელი ნაწილის განმავლობაში მეთვალყურეობა გაუწიოს ვადამდე პირობით გათავისუფლებულს და ჩაუტაროს მას აღმზრდელობითი მუშაობა".

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი. 1964 წლის 29 აპრილი.

### განყოფილება მეორე

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 235 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკაში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებაში აქტიური მონაწილეობისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მე-3 სპარტაკიადაზე მაღალი სპორტული მაჩვენებლებისათვის დაჯილდოვდნენ **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:**

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. მალხაზ ნიკოლოზის ძე **ადეიშვილი** — მოფარიკავე.
2. ვლადიმერ კონსტანტინეს ძე **ასათიანი** — თბილისის ზღვის წყლის სადგურის დირექტორი.
3. გერონტი ირაკლის ძე **ბაბახანიდი** — მწვრთნელი.
4. ირაკლი ბეგლარის ძე **ბაცელაშვილი** — საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის განყოფილების გამგე.
5. ნოდარ ქაიხოსროს ძე **ბახუტაშვილი** — მწვრთნელი.
6. ზაურბეგ ივანეს ძე **ბერიაშვილი** — მოჭიდავე.
7. სტანისლავ სტეფანეს ძე **ბუინოვი** — ფრენბურთელი.
8. ვლადიმერ ანტონის ძე **გავრილენკო** — ფრენბურთელი.
9. ნონა ტერენტის ასული **გაფრინდაშვილი** — მოჭადრაკე.
10. დავით ნიკოლოზის ძე **გვანცელაძე** — მოჭიდავე.
11. ნადეჟდა თედორეს ასული **დანილოვა** — მწვრთნელი.
12. ომარ ილიას ძე **ეგაძე** — მოჭიდავე.
13. ირინე ევგენის ასული **ერმოლოვა** — ჩოგბურთელი.
14. სამსონ გიორგის ძე **თედეევი** — მწვრთნელი.
15. არმენაკ არშალუისის ძე **თევოსიანი** — მწვრთნელი.
16. ზაქარია ალექსანდრეს ძე **თელია** — თბილისის ფიზკულტურის დისპანსერის მთავარი ექიმი.
17. სულიკო სპირიდონის ძე **თორთლაძე** — ქუთაისის სპორტული სკოლის დირექტორი.
18. ლევ ნიკოლოზის ძე **კაპიტანოვი** — მწვრთნელი.
19. ვაჟა სოლომონის ძე **კაჭარავა** — ფრენბურთელი.
20. ვლადიმერ გიორგის ძე **კინკაძე** — ქ. თბილისის ახალგაზრდობის **სპორტული სკოლის დირექტორი.**
21. ემა ვარდენის ასული **კოვლიევა** — მწვრთნელი.
22. ვახტანგ მელიტონის ძე **კუხიანიძე** — მწვრთნელი.
23. ნოდარ ალექსანდრეს ძე **მაკალათია** — ტანმოვარჯიშე.
24. გრიგოლ მიხეილის ძე **მამარდაშვილი** — მწვრთნელი.
25. შოთა რაჟდენის ძე **მარლიშვილი** — მწვრთნელი.
26. ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე **მახვილაძე** — მწვრთნელი.
27. ბორის ლევის ძე **მეგედი** — წყალბურთელი.
28. ალექსანდრე ირაკლის ძე **მეტრეველი** — ჩოგბურთელი.
29. რონ ვიქტორის ძე **მეტრეველი** — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი.
30. ოთარ გიორგის ძე **მიმინოშვილი** — წყალბურთელი.
31. დიმიტრი არჩილის ძე **მიქაბერიძე** — მაგიდის ჩოგბურთის გუნდის უფროსი.
32. ნესტორ ნესტორის ძე **მუსასტიკოვი** — მწვრთნელი.
33. დავით ნესტორის ძე **მუშკუდიანი** — ძალოსანი.
34. არჩილ ივანეს ძე **მხეიძე** — საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის განყოფილების უფროსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

35. ბორის ვასილის ძე **ნიკიტინი** — მოცურავე.
36. მზია გიორგის ასული **ნინოშვილი** — ტანმოვარჯიშე.
37. ბორის ტროფიმეს ძე **პოლუულიახი** — წყალში მხტომელი.
38. ლიანა ივანეს ასული **ჟურული** — მსროლელი.
39. ვიქტორ პავლეს ძე **რომანოვი** — წყალბურთელი.
40. რომან ვლადიმერის ძე **რურუა** — მოჭიდავე.
41. ბორის ალექსანდრეს ძე **სავჩენკო** — ფიზკულტურის ინსტრუქტორი.
42. ვლადიმერ არისტარხის ძე **სამსონაძე** — საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის თავმჯდომარის მოადგილე.
43. ვასილ ივანეს ძე **სანაძე** — წყალბურთელი.
44. ალექსანდრე პავლეს ძე **საფრონოვი** — მწვრთნელი.
45. ნიკოლოზ გიორგის ძე **სეფაშვილი** — სპარტაკიადის მთავარი მსაჯის მოადგილე.
46. ალექსანდრე ნიკოლოზის ძე **სტროევი** — მსროლელი.
47. ბორის ვიქტორის ძე **ტახტაროვი** — მწვრთნელი.
48. დავით ლუარსაბის ძე **ფავლენიშვილი** — ქ. თბილისის კომპლექსური სპორტული სკოლის დირექტორი.
49. იური გრიგოლის ძე **ფუნიკოვი** — მოცურავე.
50. ომარი ლონგინოზის ძე **ფხაკაძე** — ველოსიპედისტი.
51. ესმა შალვას ასული **ღიბრაძე** — მოცურავე.
52. შოთა მიხეილის ძე **ყველიაშვილი** — მსროლელი.
53. ზაური ალექსანდრეს ძე **შეყრილაძე** — მოჭიდავე.
54. ალექსანდრე კუზმას ძე **შჩერბინი** — მძლეოსანი.
55. ირაკლი დავითის ძე **ჩხიკვაძე** — წყალბურთელი.
56. რამაზ ლონგინოზის ძე **ცაგარელი** — მწვრთნელი.
57. შოთა ვლადიმერის ძე **წერეთელი** — მწვრთნელი.
58. გიორგი ნესტორის ძე **ჭილაია** — მწვრთნელი.
59. არტავაზ ამბარცუმის ძე **ჭოლოკიანი** — ძალოსანი.
60. ჯიმშერ ვლადიმერის ძე **ხოშებაევი** — ნიჩბოსანი.
61. სერგი შოთას ძე **ჯაიანი** — მწვრთნელი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1964 წლის 27 აპრილი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 236 ამხ. ლ. ა. ჭელიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქიმიის დარგში ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით თბილისის სახელმწიფო

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნივერსიტეტის პროფესორი ამხ. ლუკა ალექსანდრეს ძე ჭელიძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1964 წლის 29 აპრილი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 237 ამხ. შ. დ. ვაშაკიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარი სამმართველოს საწარმოო-ტექნიკური განყოფილების უფროსი ამხ. შალვა დავითის ძე ვაშაკიძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1964 წლის 29 აპრილი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 238 მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

ხანძრის ჩაქრობის დროს გამბედაობისა და თავგანწირულობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდეს მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ გურამ ალექსანდრეს ძე შუბითიძე — „საქკურორტვაჭრობის“ დაბა სურამის სასადილოს მზარეული.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1964 წლის 29 აპრილი.

## განყოფილება მესამე

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიაში

ამ დღეებში გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

სხდომამ მოისმინა კომისიის თავმჯდომარის, დეპუტატ დ. ვ. გელაშვილის მოხსენება საქართველოს სსრ 1964 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პირველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვარტალის საშემოსავლო ნაწილის შესრულების მდგომარეობის შესახებ.

მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს: საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრმა **ბ. ჩხეიძემ**, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სატყეო და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველოს უფროსმა **ი. ჩოდრიშვილმა**, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ **ს. შარაძენიძემ**, საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის პირველმა მოადგილემ **რ. ელიგულაშვილმა**, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრის მოადგილემ **მ. ლვინჯილიამ**, საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის მოადგილემ **მ. ზოდელავამ**, კონსერვტრესტის მმართველის მოადგილემ **ვ. დვალმა**, ბოლნისის რაიაღმასკომის თავმჯდომარემ **მ. ყულიევმა** და სხვებმა.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა გააკრიტიკეს ზოგიერთი სამინისტრო და უწყება, რომლებსაც არ შეუსრულებიათ სახელმწიფო ბიუჯეტის 1964 წლის პირველი კვარტალის გეგმა.

კომისიის დადგენილებით საკითხი განსახილველად დაყენებულ იქნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბინაო მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის მუდმივ კომისიაში

ამ დღეებში გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბინაო მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის მუდმივი კომისიის სხდომა.

სხდომამ მოისმინა კომისიის წევრის, დეპუტატ **ი. მღებრიშვილის** მოხსენება რესპუბლიკის ქალაქებში საბინაო-კოოპერაციული მშენებლობის მდგომარეობის შესახებ.

მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს: დეპუტატებმა **გ. ვაშაკიძემ, ზ. პატარიძემ, ვ. გოცირიძემ, გ. ფარცვანიამ, ზ. ტვილდიანმა.**

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა გააკრიტიკეს ზოგიერთი საქალაქო საბჭოს აღმასკომის მუშაობა საბინაო-კოოპერაციული მშენებლობის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა გამო.

კომისიის დადგენილებით შემოწმების მასალები სათანადო რეაგირებისათვის გაეგზავნა საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს.

## საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1964 წლის 29 აპრილის ბრძანებულებით დააჯილდოვა „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლის“ მედლებით 490 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | |
|---|---|---|
| ქ. თბილისიდან | | — 23 |
| ქ. გორიდან | | — 5 |
| ქ. რუსთავიდან | | — 17 |
| ქ. ზუგდიდიდან | | — 2 |
| ქ. წყალტუბოდან | | — 1 |
| ახალქალაქის | რაიონიდან | — 90 |
| ახალციხის | " | — 6 |
| გარდაბნის | " | — 79 |
| გეგეჭკორის | " | — 18 |
| გორის | " | — 30 |
| გურჯაანის | " | — 5 |
| ზუგდიდის | " | — 36 |
| თეთრიწყაროს | " | — 54 |
| თელავის | " | — 15 |
| ლანჩხუთის | " | — 4 |
| მაიაკოვსკის | " | — 6 |
| მახარაძის | " | — 11 |
| საჩხერის | " | — 39 |
| ორჯონიკიძის | " | — 11 |
| ყაზბეგის | " | — 4 |
| ცაგერის | " | — 10 |
| ცხაკაიას | " | — 7 |
| წყალტუბოს | " | — 17 |